ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 171

18 მაისი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა №9-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.492.01.007; 81.01.06.492.01.007ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა №9-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.06.492.01.007; №81.01.06.492.01.007ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.559.573 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა №9-ში, პირველ სართულზე, მდებარე 57.68 კვ.მ ბინა №7-ისა და 18.10 კვ.მ. ბინა №7ა-ს (საკადასტრო კოდი: №81.01.06.492.01.007; №81.01.06.492.01.007ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე კამო პეტრიაშვილისთვის (პ/ნ: 12003000817) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**